

01.07.15

საქართველოს ეროვნული ბანკი მონეტარული პოლიტიკის განაკვეთს 0.5 პროცენტული პუნქტით 5.5 პროცენტამდე ზრდის

საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა 2015 წლის 1 ივლისს მიიღო გადაწყვეტილება რეფინანსირების განაკვეთის 50 საბაზისო პუნქტით გაზრდის შესახებ. მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 5.5 პროცენტს შეადგენს.

მონეტარული პოლიტიკის გადაწყვეტილება ეფუძნება მაკროეკონომიკურ პროგნოზს, რომლის მიხედვით გაიზარდა ინფლაციის მოლოდინები და საპროგნოზო ინფლაციაზე მოქმედი შიდა და გარე რისკები. არსებული პროგნოზის შესაბამისად მონეტარული პოლიტიკის კომიტეტი მიზანშეწონილად მიიჩნევს საპროცენტო განაკვეთის ეტაპობრივ ზრდას 2015 წლის ბოლოს 6.5 პროცენტამდე.

შიდა მოთხოვნა კვლავ შესუსტებული რჩება. წინასწარი ინფორმაციით, მათში ეკონომიკური აქტივობის ზრდა 2.1 პროცენტს შეადგენს. მოთხოვნის გაჯანსაღებას დამატებით აფერხებს ბოლო თვეების განმავლობაში დაკრედიტების შენელება. მოთხოვნის სისუსტეზე მიუთითებს ასევე იმპორტის მნიშვნელოვანი კლება.

ბოლო თვეების განმავლობაში ინფლაციის მაჩვენებელი იზრდება. საწვავზე ფასების წლიური კლება ნაწილობრივ აბალანსებს ინფლაციის მაჩვენებლის ზრდას. ჩვენს ძირითად სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებში არსებული ნეგატიური ეკონომიკური ტენდენციები განაგრძობს უარყოფითი გავლენის გადმოცემას საქართველოს ეკონომიკაზე. შემცირებულია საქონლის ექსპორტი და ფულადი გზავნილები. ტურისტული შემოდინებების ზრდის ტემპი დაბალია. ასევე, ეროვნული ბანკის პოლიტიკაზე ზეწოლა ზრდის გრძელვადიან საპროცენტო განაკვეთებს, ასუსტებს მონეტარული პოლიტიკის გაცემის ეფექტიანობას და ხელს უწყობს ინფლაციის მოლოდინის ზრდას. გაცვლითი კურსის არსებული ცვლილება აისახა იმპორტის მოთხოვნაზე, რაც, თავის მხრივ, საგარეო დისბალანსის აღმოფხვრას უზრუნველყოფს. მიმდინარე პროგნოზის მიხედვით, ინფლაცია სამიზნე მაჩვენებელს 2015 წლის მეორე ნახევარში მიაღწევს.

საქართველოს ეროვნული ბანკი მომავალშიც დააკვირდება მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებსა და საფინანსო ბაზრებს და გამოიყენებს მის ხელთ არსებულ ყველა საშუალებას ფასების სტაბილურობის უზრუნველსაყოფად. მონეტარული პოლიტიკის შემდგომი ცვლილების დინამიკა დამოკიდებული იქნება მოსალოდნელი ინფლაციის დინამიკაზე, ეკონომიკური აქტივობის ზრდის ტენდენციებზე, გლობალურ და რეგიონალურ ეკონომიკურ გარემოზე.

მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის შემდეგი სხდომა 2015 წლის 12 აგვისტოს გაიმართება.